საქართველოს კანონი

სამოქალაქო აქტების შესახებ

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და აღრიცხვის ერთიანი სისტემის ფორმირება.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების სახეებს, მათი რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების, დამატების შეტანის, სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაციის, დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ბათილად ცნობის, დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის, აგრეთვე პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადებისა და გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის, სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ძირითად პირობებს და სამოქალაქო აქტების სფეროში უფლებამოსილ ორგანოებს.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სამოქალაქო აქტი – ამ კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი: დაბადება, მამობის დადგენა, შვილად აყვანა, ქორწინება, განქორწინება, სახელის ან/და გვარის შეცვლა, გარდაცვალება;

ბ) სამოქალაქო აქტის ჩანაწერი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ადასტურებს ამ კანონით გათვალისწინებულ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს;

გ) სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია – სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, ფიზიკური პირის ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით ამ კანონით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის რეგისტრაცია;

დ) სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობა – უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამოქალაქო აქტის ჩანაწერის საფუძველზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციას;

ე) ცვლილება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში – სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არსებული მონაცემის ახალი მონაცემით შეცვლა;

ვ) შესწორება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში – სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არსებული არასწორი მონაცემის სწორი მონაცემით შეცვლა;

ზ) დამატება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში – სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არსებული არასრული მონაცემის შევსება;

თ) სამოქალაქო აქტების მონაცემთა ბაზა – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში ინფორმაციის დამუშავების შედეგად შექმნილ მონაცემთა ერთობლიობა;

ი) სამოქალაქო აქტების მონაცემთა ელექტრონული ბაზა – ელექტრონული ფორმით არსებული სამოქალაქო აქტების მონაცემთა ბაზა ან მისი ნაწილი;

კ) ბავშვი – პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაბადების, მამობის დადგენის ან შვილად აყვანის რეგისტრაცია;

ლ) ლეგალიზაცია – სათანადო უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ საბუთზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილების, ბეჭდის ან შტამპის ავთენტიკურობის დადასტურება;

მ) აპოსტილით დამოწმება – „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის 1961 წლის 5 ოქტომბრის კონვენციის საფუძველზე, სათანადო უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს მიერ საბუთზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის, ხელმომწერი პირის უფლებამოსილების, ბეჭდის ან შტამპის ავთენტიკურობის სახელმწიფოებრივი დადასტურება გამარტივებული წესით.

საქართველოს 2012 წლის 16 მარტის კანონი №5851 – ვებგვერდი, 23.03.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6317 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.
საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონი №2482 - ვებგვერდი, 29.05.2014წ.

მუხლი 4. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები

1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებია:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის

იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომ – სააგენტო), რომელიც თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით;

ბ) დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში – საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, მესამე სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში შექმნილი საქართველოს ინტერესთა სექცია და საკონსულო დაწესებულება (შემდგომ – საკონსულო დაწესებულება);

გ) დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში – ნოტარიუსი.

2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა უფლებამოსილებებია:

ა) დაბადების, მამობის დადგენის, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლის ა და გარდაცვალების რეგისტრაცია;

ბ) სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა;

გ) სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია;

დ) დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ბათილად ცნობა;

ე) იურიდიული მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტების დადგენა:

ე. ა) პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების ფაქტის დადგენა;

ე. ბ) პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენა;

ე. გ) პირის დაბადების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა;

ე. დ) პირის გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა;

ვ) სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის ა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ ცნობის გაცემა;

ზ) სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შენახვა;

თ) საქართველოს მოქალაქეზე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირზე მათ საზღვარგარეთ დასაქორწინებლად ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ ცნობის გაცემა;

ი) ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება.

3. სააგენტო უფლებამოსილია დაამოწმოს და გასცეს მის შექმნამდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სამოქალაქო აქტების სფეროში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და სხვა დოკუმენტების ასლები.

4. საკონსულო დაწესებულებამ შეიძლება განახორციელოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები ან ამ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად საჭირო ცალკეული მოქმედებები საკონსულო თანამდებობის პირისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. საკონსულო დაწესებულების დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლები, მათი განხორციელების წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

5. ნოტარიუსი უფლებამოსილია ამ კანონითა და იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით განახორციელოს ქორწინებისა და განქორწინების რეგისტრაცია და გასცეს ამ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მოწმობები.

საქართველოს 2012 წლის 16 მარტის კანონი №5851 – ვებგვერდი, 23.03.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6317 – ვებგვერდი, 19.06.2012წ.
საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონი №2482 - ვებგვერდი, 29.05.2014წ.

მუხლი 5. სამოქალაქო აქტის ჩანაწერი და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობა

სამოქალაქო აქტის ჩანაწერისა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის ფორმ ები, რეკვიზიტები და ბლანკების ნიმუშები, აგრეთვე სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შენახვისა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის გაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 6. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობა

1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო სამოქალაქო აქტების მონაცემთა ბაზაში დაცული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის საფუძველზე, უფლებამოსილი პირის მოთხოვნით გასცემს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობას.

2. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობა იბეჭდება და ივსება საქართველოს სახელმწიფო ენაზე, გარდა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით ან ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილ შემთხვევებში სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობა შეიძლება დაიბეჭდოს ან/და შეივსოს უცხოურ ენაზე.

მუხლი 7. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მონაცემები ხელმისაწვდომია იმ სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირისთვის, რომლის მიმართაც რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. გარდაცვალების რეგისტრაციის მონაცემები ღიაა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისთვის.

3. საქართველოს სამინისტროს და მის ტერიტორიულ ორგანოს, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და მის ტერიტორიულ ორგანოს, სასამართლო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ ნებისმიერ პირს შეუძლიათ მიიღონ თავიანთი უფლებამოსილებების განსახორციელებლად აუცილებელი ინფორმაცია სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის შესახებ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ასლი, გარდა დაბადებისა და შვილად აყვანის სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ასლებისა, გაიცემა პერსონალური მონაცემის მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოთხოვნით.

5. აუცილებლობის შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოს დადგენილებით, აგრეთვე სასამართლოს განჩინებით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო გასცემს სამოქალაქო აქტის ჩანაწერის დედანს, რომელიც შესაბამისი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ან საქმეზე გამოტანილი შემაჯამებელი გადაწყვეტილების ძალაში შესვლისთანავე უნდა დაუბრუნდეს მის გამცემ ორგანოს.

6. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მონაცემები სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოსთვის ხელმისაწვდომია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 8. სამოქალაქო აქტების ჩანაწერებისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ნამდვილობა

საქართველოში ნამდვილად ითვლება:

ა) სამოქალაქო აქტების ჩანაწერები, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ დადასტურებული სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ასლები, რომლებიც შედგენილია საქართველოში ან საკონსულო დაწესებულების მიერ, მათი შედგენის მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;

ბ) სამოქალაქო აქტების ჩანაწერები და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია და ლეგალიზებულია ან აპოსტილით დამოწმებულია საზღვარგარეთ, სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე, თუ ამ კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

გ) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც შედგენილია საქართველოში რელიგიური წეს-ჩვეულებების საფუძველზე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაცი ის უფლებამოსილ ების მქონე ორგანოების შექმნამდე ან აღდგენამდე, მათი შედგენის მომენტისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში მითითებული მონაცემების ნამდვილობა

პირის მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში ან სამოქალაქო აქტის ჩანაწერსა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობაში მითითებული მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში საწინააღმდეგოს დადგენამდე ნამდვილად მიიჩნევა დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები.

მუხლი 10. სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის მიმართ

საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელის მიმართ ხორციელდება მხოლოდ დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაცია.

მუხლი 11. განცხადების წარდგენისა და განხილვის წესი

1. ამ კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ქმედების განხორციელების შესახებ განცხადების წარდგენისა და განხილვის, აგრეთვე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

2. სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული საბუთები, რომლებიც უნდა წარედგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს, საჭიროებს ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამოწმებას, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. სხვა სახელმწიფოში გაცემული საბუთების სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსათვის წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

4. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შესაძლებელია წარედგინოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული უკანონო ორგანოების (თანამდებობების პირების) მიერ გამოცემული აქტები „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

საქართველოს 2018 წლის 6 ივნისის კანონი №2475 – ვებგვერდი, 21.06.2018წ.

მუხლი 12. ინფორმაციის გამოთხოვა

ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წარუდგინოს ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად აუცილებელი, მის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, პერსონალური მონაცემების შემცველი).

მუხლი 13. სახელისა და გვარის ჩაწერის წესი

სამოქალაქო აქტის ჩანაწერსა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობ ა ში სახელი სა და გვარი ს ჩაწერა ხორციელდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

მუხლი 14. საქმისწარმოების ენა

ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში საქმისწარმოება მიმდინარეობს საქართველოს სახელმწიფო ენაზე.

მუხლი 15. აცილება

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული აცილების საფუძვლების არსებობისას აცილების შესახებ განცხადებას იხილავს და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის უფლებამოსილი პირის აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს სააგენტოს თავმჯდომარე.

2. აცილების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადაეცემა სააგენტოს სხვა ტერიტორიულ სამსახურს.

3. საკონსულო თანამდებობის პირის აცილების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

მუხლი 16. განცხადების განხილვის ვადა

1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე განცხადებას იხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული ქმედების განხორციელებაზე ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმის წინაპირობის არსებობისას განცხადების განხილვისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზღვრული ვადა შეიძლება გაგრძელდეს განმცხადებლის მოთხოვნით და ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარის თანხმობით, თუ ვადის გაგრძელება აუცილებელია ისეთი დოკუმენტის წარმოსადგენად, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ვადის გაგრძელების თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

3. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო განცხადების განხილვას აგრძელებს გონივრული ვადით. განცხადების განხილვის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესი არ ზღუდავს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უფლებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი ინიციატივით გააგრძელოს ადმინისტრაციული წარმოების ვადა.

მუხლი 17. განცხადების განხილვის შეჩერება

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილებით შეაჩეროს განცხადების განხილვა, თუ სასამართლოში მიმდინარეობს წარმოება იმავე საკითხზე. განცხადების განხილვა ჩერდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

მუხლი 18. მოთხოვნაზე უარის თქმა

1. განცხადების განხილვისას, გადაწყვეტილების გამოტანამდე განმცხადებელი უფლებამოსილია უარი თქვას თავის მოთხოვნაზე.

2. განმცხადებლის მიერ თავის მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების განხილვის შეწყვეტის შესახებ.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება დაბადების, გარდაცვალების, შვილად აყვანის რეგისტრაციის, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორებისა და დამატების შეტანის, ასევე სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვისას.

მუხლი 19. უფლებამოსილი ორგანოს უარი

თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, განმცხადებელს შეიძლება უარი ეთქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე შემდეგ შემთხვევებში:

ა) შესაბამისი ქმედების განხორციელებას ან ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემას ითხოვს არაუფლებამოსილი პირი;

ბ) არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ქმედების განხორციელებისათვის ან ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საბუთები;

გ) მისი მოთხოვნა ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

თავი II. დაბადების რეგისტრაცია

მუხლი 20. დაბადება

დაბადება არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ.

მუხლი 21. დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტები

1. დაბადების რეგისტრაციის მიზნებისათვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

ა) დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა;

ბ) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ;

გ) სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ იმავე სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დაბადების რეგისტრაციის მიზნებისათვის შეიძლება განისაზღვროს დაბადების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტებიც.

მუხლი 22. დაბადების რეგისტრაციის პირობები

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს საქართველოს მოქალაქის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის საზღვარგარეთ დაბადებული შვილის, ასევე საქართველოში დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციას.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 23. დაბადების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულება

1. დაბადების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულება ეკისრებათ:

ა) სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, თუ ბავშვი ამ დაწესებულებაში დაიბადა;

ბ) პირს, რომელიც უფლებამოსილია გასცეს დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა, მაგრამ არ იმყოფება შრომით ურთიერთობაში არც ერთ სამედიცინო დაწესებულებასთან, თუ მან ბავშვის დედას სამედიცინო დაწესებულების გარეთ მშობიარობისას გაუწია დახმარება;

გ) ბავშვის მშობელს, თუ ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულმა პირებმა არ განაცხადეს ბავშვის დაბადების შესახებ, აგრეთვე თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე ან სხვა სახელმწიფოში;

დ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილ პირს, თუ ბავშვი დაიბადა სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე;

ე) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელს, თუ პირი, რომლის დაბადებაც არ არის რეგისტრირებული, ამ ორგანოს ან დაწესებულების აღსაზრდელია ან იმყოფება მისი მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ პირებს დაბადების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულება აქვთ იმის მიუხედავად, შეასრულებენ თუ არა ამ ვალდებულებას სხვა პირები.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული პირები დაბადების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიმართავენ ამ კანონის 24-ე მუხლით დადგენილი წესით, ბავშვის დაბადებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელი, მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილი პირი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიმართავს ამ კანონის XII თავით დადგენილი წესით, დაბადების რეგისტრაციის არარსებობის თაობაზე შეტყობიდან ან სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილების მქონე პირის დახმარების გარეშე ბავშვის დაბადების თაობაზე შეტყობიდან 1 თვის ვადაში.

5. ბავშვის მშობელი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ბავშვის დაბადების თაობაზე მიმართავს ბავშვის დაბადებიდან 1 თვის ვადაში. დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ბავშვის მშობელი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიმართავს ამ კანონის XII თავით დადგენილი წესით.

6. სხვა სახელმწიფოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ საკონსულო დაწესებულებისათვის მიმართვის შემთხვევაში დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას.

7. ამ კანონის 23-ე, 71-ე და 72-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილი პირი თავის საქმიანობას ახორციელებს მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის განხორციელებაზე დარგობრივ ზედამხედველობას საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ დადგენილი წესით ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონი №2482 - ვებგვერდი, 29.05.2014წ.
საქართველოს 2016 წლის 27 მაისის კანონი №5101 - ვებგვერდი, 04.06.2016წ.
საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონი №1263 - ვებგვერდი, 29.07.2017წ.

მუხლი 24. დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარდგენა

1. სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა სააგენტოს წარუდგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა შეიძლება წარდგენილ იქნეს მატერიალური ფორმით.

2. დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის რეკვიზიტები, მისი შედგენისა და გაგზავნის წესი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

3. სააგენტოსთვის დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის გამგზავნი დაწესებულება/პირი პასუხისმგებელია გაგზავნილი სამედიცინო ცნობის სისწორისა და სისრულისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი სრულყოფილად შევსება შეუძლებელია სათანადო ინფორმაციის მოპოვების შეუძლებლობის გამო.

4. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა სრულყოფილად არ შეიცავს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით გათვალისწინებულ ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია არ განახორციელოს დაბადების რეგისტრაცია.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3075 - ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 25. დაბადების რეგისტრაციისას ბავშვის სახელის, გვარისა და დაბადების ადგილის განსაზღვრა

1. დაბადების რეგისტრაციისას ბავშვის სახელის, გვარისა და დაბადების ადგილის განსაზღვრის წესი დგინდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

2. თუ დაბადების რეგისტრაციისას უფლებამოსილი პირი არ განაცხადებს ბავშვისთვის სახელის მინიჭების თაობაზე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ბავშვის სქესის გათვალისწინებით ანიჭებს მას სახელს სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სააგენტოს მონაცემთა ბაზაში აღრიცხული, შესაბამისი სქესისათვის დამახასიათებელი სახელებიდან, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.

მუხლი 26. დაბადების რეგისტრაციისას ბავშვის მშობლების ჩაწერა

1. დაქორწინებული მშობლებისგან ბავშვის წარმოშობა დგინდება მეუღლეთა ერთობლივი განცხადებით ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით და ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

2. მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს 10 თვისა.

3. ქორწინებაში არმყოფი მშობლებისგან ბავშვის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით.

4. თუ ბავშვი შეეძინება დაუქორწინებელ დედას და არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამის მონაცემები არ მიეთითება.

5. ქორწინებაში არმყოფი მშობლების შემთხვევაში დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დედის შესახებ მონაცემები მიეთითება დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტის და დედის განცხადების საფუძველზე, ხოლო მამის შესახებ მონაცემები – მშობელთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე. თუ დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის დედა გარდაცვლილია, სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დედის შესახებ მონაცემები მიეთითება დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო მამის შესახებ მონაცემები – მამის განცხადების საფუძველზე.

6. ქორწინების განმავლობაში შეძენილი ბავშვი არ ჩაითვლება დაქორწინებული მშობლებისგან წარმოშობილად, თუ დაბადების რეგისტრაციისას წარდგენილი იქნება ბავშვის დედისა და მისი მეუღლის შესაბამისი განცხადება.

7. ქორწინებაში მყოფი ერთ-ერთი მშობლის განცხადების საფუძველზე ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შემთხვევაში იმ მშობელს, რომლის განცხადების გარეშეც განხორციელდა დაბადების რეგისტრაცია, უფლება

აქვს, იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო დაბადების რეგისტრაციის შესახებ, 1 წლის განმავლობაში სადავო გახადოს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები. თუ მონაცემების გასაჩივრების უფლების წარმოშობის დროისთვის ბავშვის მშობელი არასრულწლოვანია, გასაჩივრების ვადა აითვლება მის მიერ სრულწლოვანების მიღწევიდან.
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 27. პირადი ნომრის მინიჭება

1. პირადი ნომერი არის პირის უნიკალური საიდენტიფიკაციო მონაცემი, რომლის შეცვლა დაუშვებელია, საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

2. პირს პირადი ნომერი ენიჭება დაბადების რეგისტრაციისას და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. პირადი ნომრის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

3. საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაბადების რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს პირადი ნომრის მინიჭების გარეშე.
საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონი №2482 - ვებგვერდი, 29.05.2014წ.

მუხლი 28. ნაპოვნი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია

1. ნაპოვნი ბავშვის დაბადების რეგისტრაციის საფუძველია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიმართვა დაბადების რეგისტრაციის თაობაზე. მიმართვაში აღნიშნული უნდა იყოს ბავშვის სახელი, გვარი, დაბადების სავარაუდო თარიღი და ადგილი.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ მიმართვას უნდა ერთოდეს სამედიცინო დასკვნა ბავშვის ასაკის დადგენის შესახებ.

მუხლი 29. მკვდრადშობილის დაბადების რეგისტრაცია

1. მკვდრადშობილის დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება დაბადების რეგისტრაციისათვის ამ კანონით დადგენილი წესით. მკვდრადშობილის გარდაცვალების რეგისტრაცია არ ხორციელდება.

2. დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მკვდრადშობილის სახელი და გვარი არ მიეთითება.

მუხლი 30. ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია

ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი III. მამობის დადგენის რეგისტრაცია

მუხლი 31. მამობის დადგენა

მამობის დადგენა არის პირის ბავშვის მამად აღიარების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომლის რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს უფლებამოსილი პირის განცხადების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 32. მამობის დადგენის რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლებამოსილება

1. მამობის დადგენის რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლება აქვთ:

ა) ბავშვის დაბადების მომენტისთვის ქორწინებაში არმყოფ მშობლებს ერთობლივად;

ბ) ბავშვს (სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ), მის ერთ-ერთ მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს, თუ მამობა დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებით;

გ) ბავშვის მამას, თუ ბავშვი არასრულწლოვანია, ხოლო დედა გარდაცვლილია, სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება.

2. მამობის დადგენის თაობაზე მშობელთა ერთობლივი განცხადება ჯერ კიდევ გაუჩენელ ბავშვთან დაკავშირებით შესაძლებელია წარდგენილ იქნეს დედის ორსულობის პერიოდში. ამ შემთხვევაში მამობის დადგენის რეგისტრაციისათვის საჭირო არ არის მშობელთა ახალი განცხადების წარდგენა, თუ წინა განცხადება არ იქნა გამოთხოვილი ერთ-ერთი ან ორივე მშობლის მიერ.

3. მამობის დადგენის რეგისტრაცია ხორციელდება, თუ:

ა) ბავშვი, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს მამობის დადგენის რეგისტრაცია, არის საქართველოს მოქალაქე, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირი, დაბადებულია საქართველოში, ან თუ მისი დაბადება რეგისტრირებულია საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ;

ბ) არასრულწლოვანი ბავშვის ერთ-ერთი მშობელი არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივი

ბინადრობის ნებართვის მქონე პირი;

გ) მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა საქართველოს სასამართლომ;

დ) მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანა სხვა სახელმწიფოს სასამართლომ და ცნობილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 33. სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ

1. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას მამობის დადგენის შესახებ მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

2. მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს მამობის დადგენის რეგისტრაციას და შესაბამისი ცვლილება შეაქვს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში.

3. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მამობის დადგენის რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 34. მამობის დადგენის განსაკუთრებული წესი

1. თუ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებულია პირი, რომელიც მისი ბიოლოგიური მამა არ არის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია მამობის დადგენის რეგისტრაცია განახორციელოს დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მშობლებად მითითებული პირებისა და ბიოლოგიური მამის ერთობლივი მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. თუ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამის მონაცემები შეტანილია მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ან მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერის საფუძველზე, მამობის დადგენის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მამობის დადგენის რეგისტრაცია განხორციელდა ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წესით მამობის დადგენის რეგისტრაციის შემთხვევაში ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას შედგენილი მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ბათილად ჩაითვლება.

მუხლი 35. სრულწლოვანი პირის მიმართ მამობის დადგენის რეგისტრაცია

1. სრულწლოვნის მიმართ მამობის დადგენის რეგისტრაცია, აგრეთვე მისი გვარის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ ამ პირის თანხმობით, ხოლო თუ ეს პირი სასამართლოს მიერ ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა საჭირო არ არის, თუ მამობის დადგენის რეგისტრაცია ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. სრულწლოვანი პირის მიმართ მამობის დადგენის რეგისტრაციისას მისი გვარის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ პირის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის, თუ ეს პირი იძებნება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების ან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მამობის დადგენასთან ერთად პირისათვის გვარის შეცვლის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაშია მითითებული.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.
საქართველოს 2018 წლის 18 აპრილის კანონი №2149 – ვებგვერდი, 01.05.2018წ.

მუხლი 36. მხარდაჭერის მიმღების მამობის დადგენა

თუ ბავშვის მამა ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად, მამობის დადგენის რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 37. მამობის დადგენა დაბადების რეგისტრაციისას

დაბადების რეგისტრაციისას პირის ბავშვის მამად აღიარების შემთხვევაში მამობის დადგენის რეგისტრაცია არ ხორციელდება.

მუხლი 38. მამობის დადგენის რეგისტრაციის ვადა

მამობის დადგენის რეგისტრაცია ხორციელდება განცხადების წარდგენიდან 1 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 39. მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ბათილად ცნობა

მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ბათილად ჩაითვლება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებული პირი მისი მამა არ არის.

თავი IV. შვილად აყვანის რეგისტრაცია

მუხლი 40. შვილად აყვანის რეგისტრაციის საფუძველი

შვილად აყვანა არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომლის რეგისტრაციას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №749 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 41. შვილად აყვანის რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლებამოსილება

შვილად აყვანის რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლება აქვთ მშვილებელს, სრულწლოვან და ქმედუნარიან ნაშვილებს, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

მუხლი 42. ნაშვილების ან/და მისი მშობლის (მშობლების) შესახებ მონაცემების შეცვლა

1. შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად ნაშვილების სახელის, გვარის, დაბადების ადგილის, დაბადების თარიღის, პირადი ნომრის და მისი მშობლის (მშობლების) შესახებ მონაცემების მშვილებლის (მშვილებლების) შესახებ მონაცემებით შეცვლა ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შვილად აყვანის რეგისტრაციისას.

2. ნაშვილების ან/და მისი მშობლის (მშობლების) შესახებ მონაცემების შეცვლის შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანება ნაშვილების დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დაბადების ხელახალი რეგისტრაციის შემთხვევისა.

3. ნაშვილების შესახებ მონაცემის (მონაცემების) შეცვლის შემთხვევაში ხორციელდება ნაშვილების დაბადების ხელახალი რეგისტრაცია, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. 18 წლამდე ნაშვილებს პირადი ნომერი შეეცვლება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამ შემთხვევაში განხორციელდება ნაშვილების დაბადების ხელახალი რეგისტრაცია.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №749 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 43. შვილად აყვანის რეგისტრაცია დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერის არარსებობის შემთხვევაში

1. თუ შვილად აყვანის რეგისტრაციამდე გამოვლინდა, რომ სამოქალაქო აქტების მონაცემთა ბაზაში არ არის დაცული ნაშვილების დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერი და მის მიმართ შეუძლებელია დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა ან ამ კანონის 85-ე მუხლით გათვალისწინებული ხელახალი რეგისტრაცია, შვილად აყვანის რეგისტრაცია განხორციელდება ნაშვილების დაბადების რეგისტრაციის შემდეგ.

2. იმ ნაშვილების შვილად აყვანის შემთხვევაში, რომლის დაბადება არ არის რეგისტრირებული საქართველოში და რომლის მიმართ შეუძლებელია დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა ან ამ კანონის 85-ე მუხლით გათვალისწინებული ხელახალი რეგისტრაცია, ხორციელდება შვილად აყვანისა და დაბადების ხელახალი რეგისტრაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ახალი (შეცვლილი) მონაცემებით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაინტერესებული პირი ვალდებულია მიმართოს სააგენტოს დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისათვის ან ამ კანონის 85-ე მუხლით გათვალისწინებული ხელახალი რეგისტრაციისათვის. ამ პუნქტით განსაზღვრული წარმოების განმავლობაში ჩერდება ამ კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №749 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 44. სასამართლოს გადაწყვეტილებები შვილად აყვანის შესახებ და შვილად აყვანის ბათილად ცნობის/შვილად აყვანის გაუქმების შესახებ

1. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ უგზავნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით, ხოლო გადაწყვეტილებას შვილად აყვანის ბათილად ცნობის/შვილად აყვანის გაუქმების შესახებ – სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შვილად აყვანის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს სასამართლოს გადაწყვეტილება ეგზავნება მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში:

ა) ახორციელებს შვილად აყვანის რეგისტრაციას;

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ახორციელებს შესაბამის ცვლილებას (ცვლილებებს)

ნაშვილების დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამ კანონის 42-ე და 43-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს ნაშვილების დაბადების ხელახალ რეგისტრაციას.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №749 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 45. შვილად აყვანის რეგისტრაცია სხვა სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე

შვილად აყვანის რეგისტრაცია სხვა სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების ცნობის შემდეგ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 46. შვილად აყვანის სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობა

1. შვილად აყვანის ბათილად ცნობის/შვილად აყვანის გაუქმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ბათილად ითვლება შესაბამისი შვილად აყვანის სამოქალაქო აქტის ჩანაწერიც.

2. შვილად აყვანის ბათილად ცნობა/შვილად აყვანის გაუქმება იწვევს ნაშვილების დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შეტანილი ცვლილების (ცვლილებების) ბათილობას და იმ მონაცემების აღდგენას, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით არის განსაზღვრული. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით არ არის განსაზღვრული ნაშვილებისათვის მონაცემების შენარჩუნების/აღდგენის საკითხი, მას უნარჩუნდება არსებული მონაცემები, გარდა მშობლების შესახებ მონაცემებისა.

3. თუ შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვის უზრუნველსაყოფად ნაშვილების მიმართ შედგენილია დაბადების სამოქალაქო აქტის ახალი ჩანაწერი, შვილად აყვანის ბათილად ცნობის/შვილად აყვანის გაუქმების შემთხვევაში ნაშვილების დაბადების სამოქალაქო აქტის ახალი ჩანაწერი ძალაში რჩება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაბადების სამოქალაქო აქტის ახალი ჩანაწერი ბათილად იქნა ცნობილი, ნამდვილად მიიჩნევა სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერი. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაბადების სამოქალაქო აქტის ახალი ჩანაწერი ბათილად იქნა ცნობილი და არ განისაზღვრა, დაბადების სამოქალაქო აქტის რომელი ჩანაწერი უნდა იქნეს მიჩნეული ნამდვილად, ნამდვილად მიიჩნევა აღნიშნული აქტის ის ჩანაწერი, რომელში მითითებული მონაცემებიც სასამართლომ აღადგინა.

4. შვილად აყვანის სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის შემთხვევაში ნაშვილებს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეუნარჩუნდება შვილად აყვანასთან დაკავშირებით შეცვლილი მონაცემები, გარდა მშობლების შესახებ მონაცემებისა.

საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №749 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.

მუხლი 47. შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვა

1. შვილად აყვანის რეგისტრაციის მონაცემების გაცემა ბიოლოგიური მშობლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე დაუშვებელია, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. მშვილებელი უფლებამოსილია შეზღუდვების გარეშე მიიღოს ინფორმაცია შვილად აყვანის რეგისტრაციის შესახებ.

3. ნაშვილები უფლებამოსილია შვილად აყვანის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მიიღოს შეზღუდვების გარეშე, თუ შვილად აყვანის შედეგად მისი მშობლების მონაცემები არ შეცვლილა. ნაშვილებზე შვილად აყვანის მოწმობის გაცემის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

4. შვილად აყვანის რეგისტრაციის მონაცემები შეიძლება გაიცეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნით, საგამოძიებო ორგანოს დადგენილების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

თავი V. ქორწინების რეგისტრაცია

მუხლი 48. ქორწინების წარმოშობა

ქორწინების წარმოშობისათვის სავალდებულოა მისი რეგისტრაცია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ.

მუხლი 49. ქორწინების რეგისტრაციის ადგილი

1. ქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება დაქორწინების მსურველ პირთა მიერ არჩეული ადგილის მიხედვით.

2. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის ქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება ამ დაწესებულებაში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

საქართველოს 2015 წლის 1 მაისის კანონი №3559 - ვებგვერდი, 18.05.2015წ.

მუხლი 50. ქორწინების რეგისტრაციის პირობები

ქორწინების რეგისტრაციისათვის აუცილებელია დაქორწინების მსურველ პირთა საქორწინო ასაკი და თანხმობა.

მუხლი 51. საქორწინო ასაკი

1. ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან.

2. (ამოღებულია - 16.12.2015, №4650).

3. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვან პირთა ქორწინება დაიშვება მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით, ხოლო თანხმობაზე უარის ან თანხმობის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4650 - ვებგვერდი, 28.12.2015წ.

მუხლი 52. ქორწინების რეგისტრაცია

1. ქორწინების რეგისტრაციისათვის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უნდა წარედგინოს დაქორწინების მსურველ პირთა განცხადება.

2. დაქორწინების მსურველი პირები სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს განცხადებას წარუდგენენ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. დაქორწინების მსურველმა პირებმა განცხადებაში უნდა დაადასტურონ, რომ მათთვის არ არსებობს ამ კანონის 54-ე მუხლით გათვალისწინებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები და ცნობილია ერთმანეთის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობა, იციან, მერამდენეა თითოეული მათგანისათვის ეს ქორწინება, ასევე უნდა აღნიშნონ, ჰყავთ თუ არა შვილები.

4. ქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება დაქორწინების მსურველ პირთა და არანაკლებ ორი სრულწლოვანი, ქმედუნარიანი მოწმის თანდასწრებით. ქორწინების დაქორწინების მსურველი პირის წარმომადგენლის მეშვეობით რეგისტრაცია დაუშვებელია.

5. დაქორწინების მსურველ პირთა მოთხოვნით ქორწინების რეგისტრაცია შეიძლება ჩატარდეს საზეიმო ვითარებაში.

6. ქორწინების რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 53. დაქორწინების მსურველი პირის მიერ გვარის შეცვლა

1. ქორწინების რეგისტრაციისას მეუღლეებს უფლება აქვთ, ერთ-ერთი მათგანის გვარი აირჩიონ თავიანთ საერთო გვარად, ასევე ორივემ ან ერთ-ერთმა მათგანმა აირჩიოს საკუთარი გვარისა და მეუღლის გვარის გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი.

2. ქორწინების რეგისტრაციისას მეუღლეთა გვარების გაერთიანება დაუშვებელია, თუ ერთ-ერთი მათგანის ქორწინებამდელი გვარი ორწევრიანია (ორმაგი გვარი).

2^1. ქორწინების რეგისტრაციისას პირის გვარის შეცვლა ასევე დაუშვებელია, თუ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის, თუ ეს პირი იძებნება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების ან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მიერ. ამ შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ ქორწინების რეგისტრაცია გვარის შეცვლის გარეშე.

3. თუ ქორწინებაში მყოფი პირი ქორწინების შეწყვეტის გარეშე ხელმეორედ დაქორწინდა და შეიცვალა გვარი, მისი ხელმეორე ქორწინების ბათილად ცნობამდე მის ნამდვილ გვარად ჩაითვლება ბოლოს რეგისტრირებული ქორწინების აქტის ჩანაწერში მითითებული გვარი.

საქართველოს 2018 წლის 18 აპრილის კანონი №2149 – ვებგვერდი, 01.05.2018წ.

მუხლი 54. ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები

1. ქორწინება არ დაიშვება:

ა) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი დაქორწინებულია სხვაზე;

ბ) პირდაპირი აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავებს შორის;

გ) ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის;

დ) მშვილებელსა და ნაშვილებს შორის;

ე) იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი მხარდაჭერის მიმღებია და რომლებსაც არ დაუდიათ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საქორწინო ხელშეკრულება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტები გამოიყენება გაშვილების შედეგად ნათესაური ურთიერთობის მოშლის შემთხვევაშიც.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

თავი VI. განქორწინების რეგისტრაცია

მუხლი 55. განქორწინების რეგისტრაცია

1. განქორწინებისათვის სავალდებულოა მისი რეგისტრაცია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ.

2. განქორწინების რეგისტრაციისათვის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უნდა წარედგინოს უფლებამოსილი პირის განცხადება. განქორწინების რეგისტრაცია ასევე შეიძლება განხორციელდეს განქორწინების შესახებ ამ კანონის 58-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო განქორწინების რეგისტრაციას ახორციელებს, თუ ერთ-ერთი მეუღლე არის საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირი, ასევე თუ ქორწინება რეგისტრირებულია საქართველოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

4. განქორწინების რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 56. განქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უ ფლებამოსილება

1. განქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლება აქვთ:

ა) განქორწინების მსურველ მეუღლეებს ერთობლივად;

ბ) ერთ - ერთ მეუღლეს, თუ:

ბ.ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ;

ბ.ბ) მეორე მეუღლე სასამართლოს მიერ აღიარებულია უგზო - უკვლოდ დაკარგულად;

ბ.გ) (ამოღებულია - 20.03.2015, №3347);

ბ.დ) მეორე მეუღლე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით ვადით არანაკლებ 3 წლისა.

2. განქორწინების რეგისტრაციის მოთხოვნით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება მიმართოს განქორწინების მსურველი მეუღლის (მეუღლეების) წარმომადგენელმა. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 57. მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების წესი

1. მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება, თუ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა მათი საერთო თანასაკუთრების გაყოფასთან, შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებასთან ან საერთო ბავშვებთან დაკავშირებით.

2. მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლების არარსებობის შესამოწმებლად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო მსჯავრდებულ მეუღლეს ატყობინებს განქორწინების შესახებ განცხადების წარდგენის თაობაზე და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას წერილობითი პასუხის წარსადგენად.

3. პასუხის წარდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს შეტყობინების გაგზავნის დღიდან 1 თვეს, თუ მსჯავრდებული მეუღლე სასჯელს საქართველოში იხდის. მსჯავრდებული მეუღლის სხვა სახელმწიფოს საპატიმრო დაწესებულებაში ყოფნის შემთხვევაში აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს შეტყობინების გაგზავნის დღიდან 6 თვეს.

4. თუ მსჯავრდებული მეუღლე მეუღლეებს შორის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დავის არარსებობის შესახებ განაცხადებს ან განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს წერილობით პასუხს, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო განახორციელებს განქორწინების რეგისტრაციას.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 58. სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ

1. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას მეუღლეთა განქორწინების შესახებ მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

2. განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს განქორწინების რეგისტრაციას, მიუხედავად ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღისა.

3. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია არ განახორციელოს განქორწინების რეგისტრაცია, თუ განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი თითოეული მეუღლის პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ქორწინების რეგისტრაციის თარიღი ან მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება.

4. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონი №2636 – ვებგვერდი, 06.07.2018წ.

მუხლი 59. განქორწინების შემთხვევაში მეუღლის მიერ გვარის შენარჩუნება და ქორწინებამდელი გვარის დაბრუნება

1. მეუღლე, რომელმაც ქორწინების შედეგად შეიცვალა გვარი, უფლებამოსილია განქორწინების რეგისტრაციისას გადაწყვიტოს, რომ განქორწინების შემდეგაც ატაროს ქორწინების შედეგად შეცვლილი გვარი. ამასთანავე, მას შეუძლია განქორწინების რეგისტრაციისას ან მოგვიანებით მოითხოვოს მისთვის ქორწინებამდელი გვარის დაბრუნება.

2. განქორწინების რეგისტრაციისას პირის გვარის შეცვლა დაუშვებელია, თუ მის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის, თუ ეს პირი იძებნება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების ან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მიერ. ამ შემთხვევაში ხორციელდება მხოლოდ განქორწინების რეგისტრაცია გვარის შეცვლის გარეშე. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა განქორწინების რეგისტრაცია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხორციელდება და განქორწინებისას მეუღლის/მეუღლეთა მიერ გვარის შეცვლის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებაშია მითითებული.

საქართველოს 2018 წლის 18 აპრილის კანონი №2149 – ვებგვერდი, 01.05.2018წ.

მუხლი 60. განქორწინების რეგისტრაციის ვადა

1. ამ კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ბ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის გასვლისთანავე, თუ ამ ვადაში განქორწინებაზე უარს არ განაცხადებს განცხადების წარმდგენი მეუღლე, ხოლო ერთობლივი განცხადების წარდგენისას – ერთ-ერთი მეუღლე მაინც.

2. არანაკლებ 3 წლის ვადით მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონის 57-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო პასუხის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში – ამ ვადის გასვლიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 61. ქორწინების შეწყვეტის მომენტი

განქორწინების შემთხვევაში ქორწინება შეწყვეტილად ითვლება განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

თავი VII. სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაცია

მუხლი 62. სახელის ან/და გვარის შეცვლის უფლება

1. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლის დაბადება რეგისტრირებულია საქართველოში (გარდა ამ კანონის 85-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული დაბადების რეგისტრაციისა), უფლება აქვთ, შეიცვალონ სახელი ან/და გვარი.

2. სახელის ან/და გვარის შეცვლისათვის სავალდებულოა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაცია.

3. სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ თავით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 63. ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის სახელის ან/და გვარის შეცვლა

1. 16 წლიდან 18 წლამდე არასრულწლოვნის სახელის ან/და გვარის შეცვლა დასაშვებია ამ პირის მოთხოვნით და მისი მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

2. 16 წლამდე არასრულწლოვნის სახელის ან/და გვარის შეცვლა ხორციელდება მისი მშობლების შეთანხმებით. მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში არასრულწლოვნის სახელის ან/და გვარის შეცვლის საკითხს მისი ინტერესების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო.

3. ქორწინებაში არმყოფი დედის მიერ ამ თავით დადგენილი წესით გვარის შეცვლისას, აგრეთვე იმ მშობლის მიერ გვარის შეცვლისას, რომლის გვარსაც ატარებს მისი არასრულწლოვანი შვილი და მშობლებს სხვადასხვა გვარი აქვთ, 10 წლამდე არასრულწლოვნის გვარი შეიცვლება მშობლის გვარის შეცვლასთან ერთად.

4. თუ არასრულწლოვანს შეუსრულდა 10 წელი, მისი სახელის ან/და გვარის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით.

5. მხარდაჭერის მიმღების სახელის ან/და გვარის შეცვლა დასაშვებია მისი მოთხოვნით და მხარდამჭერის დახმარებით, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე სრულწლოვნის სახელის ან/და გვარის შეცვლა დასაშვებია ამ პირის მოთხოვნით და მისი მზრუნველის თანხმობით.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 64. სახელისა და გვარის შეცვლის პირობები

1. სრულწლოვან პირს უფლება აქვს, საკუთარი სურვილისამებრ შეიცვალოს სახელი მხოლოდ ერთხელ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. პირს შეუძლია შეიცვალოს გვარი და მიიღოს:

ა) მშობელთა შეერთებული გვარი;

ბ) პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის (მეოთხე თაობის ნათესავების (ბებიის/პაპის ბებიისა და პაპის) ჩათვლით) გვარი;

გ) საკუთარი გვარისა და ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირდაპირი აღმავალი შტოს ერთ-ერთი ნათესავის გვარის გაერთიანების შედეგად მიღებული გვარი;

დ) ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;

ე) მშვილებლის გვარი;

ვ) ქორწინებამდელი გვარი, თუ ქორწინების შეწყვეტისას მას არ დაუბრუნებია ეს გვარი;

ზ) მამის გვარი, ამ კანონის III თავით დადგენილი წესით მამობის დადგენისას;

თ) ისტორიული გვარი, ამ კანონის 65-ე მუხლით დადგენილი წესით;

ი) სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული გვარი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას პირისთვის გვარის შეცვლა შესაძლებელია, თუ მისი დაბადების სამოქალაქო აქტი საქართველოშია რეგისტრირებული და სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ამ პირისთვის სხვა გვარის მინიჭების შემდეგ მან საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვა.

4. სრულწლოვან პირს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“–„დ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით გვარი შეიცვალოს მხოლოდ ერთხელ, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. თუ აღმოიფხვრა ამ კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით, 53-ე მუხლის 2^1 პუნქტით ან 59-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გვარის შეცვლის შეზღუდვის საფუძველი, პირს უფლება აქვს, მოითხოვოს გვარის შეცვლა ამ კანონით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონი №2482 - ვებგვერდი, 29.05.2014წ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება №2/4/570 - ვებგვერდი, 11.08.2016წ.

საქართველოს 2017 წლის 14 დეკემბრის კანონი №1725 – ვებგვერდი, 25.12.2017წ.

საქართველოს 2018 წლის 18 აპრილის კანონი №2149 – ვებგვერდი, 01.05.2018წ.

მუხლი 65. ისტორიული გვარის აღდგენა

1. პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი ისტორიული გვარის აღდგენა, თუ მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება, რომ მისი გვარი წარმოიშვა სხვა გვარის გარდაქმნის ან მისი ისტორიული გვარის წარმომადგენლის მიერ სხვა გვარის მიღების შედეგად.

2. სხვა მტკიცებულებებთან ერთად ისტორიული გვარის აღდგენას საფუძვლად აგრეთვე შეიძლება დაედოს დასაბუთებული მეცნიერული ვარაუდი, რომლითაც დასტურდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარემოებების არსებობა.

3. ისტორიული გვარის აღდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 66. გვარის კანონიერად აღიარება

1. პირის პირადობის დამადასტურებელ ან სხვა დოკუმენტებში მითითებული გვარი, რომელიც არ შეესაბამება მისი დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებულ გვარს, შეიძლება აღიარებულ იქნეს კანონიერად, თუ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებულ გვარზე დაბრუნება (პირადობის დამადასტურებელი ან სხვა დოკუმენტების მიღება) დაკავშირებულია არათანაბარზომიერ ხარჯებსა და ძალისხმევასთან.

2. გვარის კანონიერად აღიარება დასაშვებია, თუ ამ კანონის ამოქმედებამდე არანაკლებ 5 წლის განმავლობაში პირი პირადობის დამადასტურებელ ან სხვა რაიმე ოფიციალურ დოკუმენტს ფლობდა გვარზე, რომელიც არ შეესაბამება მისი დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებულ გვარს.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 67. გვარის დადგენა

1. პირს, რომლის დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში არ არის მითითებული გვარი, მისი სურვილისამებრ, შეიძლება დაუდგინდეს პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი, ან სხვა გვარი, რომლითაც იგი სარგებლობდა ამ კანონის ამოქმედებამდე არანაკლებ 5 წლისა, რაც უნდა დასტურდებოდეს მის სახელზე შედგენილი დოკუმენტებითა და სხვა მტკიცებულებებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე გვარის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში პირს შეიძლება დაუდგინდეს თავისი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის სახელისგან ნაწარმოები გვარი მისთვის სასურველი დაბოლოებით ან დაბოლოების გარეშე.

მუხლი 67^1. სახელის ან/და გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების შესახებ 16 წელს მიღწეული პირის განცხადების წარდგენა და განხილვა

1. 16 წელს მიღწეული პირი ვალდებულია ამ თავით გათვალისწინებული საფუძვლით სახელის ან/და გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების მოთხოვნით პირადად მიმართოს სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურს ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

2. სახელის ან/და გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების საკითხს იხილავს და

წყვეტს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახური. გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების საკითხს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახური იხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავით ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესით, ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. თუ სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურში მხოლოდ 1 თანამშრომელია, გვარის შეცვლასთან/გვარის დადგენასთან/გვარის კანონიერად აღიარებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ზეპირი მოსმენის გამართვისას სხდომის მდივნის უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს სხდომის თავმჯდომარემ.

4. დაინტერესებულ პირს ზეპირი მოსმენის გამართვის თაობაზე შეიძლება ეცნობოს საცხოვრებელ მისამართზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის, ტელეფონით გასაუბრების ან მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის ან ელექტრონული ფოსტით (არსებობის შემთხვევაში) შეტყობინების გაგზავნის გზით. დაინტერესებულ პირს ზეპირი მოსმენის თარიღი უნდა ეცნობოს ზეპირი მოსმენის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა.

5. ზეპირი მოსმენის დროს დაინტერესებული პირი ვალდებულია თავის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დაასაბუთოს გვარის შეცვლისთვის/გვარის დადგენისთვის/გვარის კანონიერად აღიარებისთვის ამ თავით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა.

6. გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების შესახებ განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული, თუ, შეტყობინების მიღების მიუხედავად, დაინტერესებული პირი არ გამოცხადდება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ სამსახურში ზეპირ მოსმენაში მონაწილეობისათვის.

7. ამ მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული პირადად მიმართვის და პირადად გამოცხადების ვალდებულებები არ ვრცელდება პირზე, თუ მას არ შეუძლია გადაადგილება მძიმე ავადმყოფობის ან ფიზიკური მდგომარეობის გამო, რაც დასტურდება შესაბამისი ცნობით/დოკუმენტით. ამ შემთხვევაში სახელის ან/და გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების შესახებ განცხადება შესაძლებელია წარედგინოს სააგენტოს უფლებამოსილ პირს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით ან წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ზეპირი მოსმენა არ იმართება და სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახური სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის შესაბამისად.

საქართველოს 2018 წლის 18 აპრილის კანონი №2149 – ვებგვერდი, 01.05.2018წ.

მუხლი 68. სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციაზე უარის თქმა

1. სახელის შეცვლა დაუშვებელია, თუ განმცხადებელი სახელად ირჩევს ციფრებს, სასვენ ნიშნებს, გეომეტრიულ ფიგურებს, გრაფიკულ გამოსახულებებს, სიმბოლოებს, უცენზურო ან შეურაცხმყოფელ სიტყვებს ან მრავალწევრიან (ორზე მეტი სახელისაგან შემდგარ) სახელს.

2. გვარების გაერთიანება დაუშვებელია, თუ თუნდაც ერთ-ერთი გვარი ორწევრიანია (ორმაგი გვარი).

3. პირის სახელის ან/და გვარის შეცვლა/გვარის დადგენა/გვარის კანონიერად აღიარება დაუშვებელია, თუ ეს პირი დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი და იძებნება საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ამ თავით გათვალისწინებული საფუძვლით პირის სახელის ან/და გვარის შეცვლა/გვარის დადგენა/გვარის კანონიერად აღიარება დაუშვებელია, თუ:

ა) სახელის ან/და გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების შესახებ 16 წელს მიღწეული პირის განცხადება სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული სამსახურისთვის ან საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისთვის ან საკონსულო დაწესებულებისთვის დაინტერესებულ პირს უშუალოდ არ წარუდგენია, გარდა ამ კანონის 67^1 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ბ) განხორციელდა დაინტერესებული პირის დეპორტაცია ან რეადმისია საქართველოში და დეპორტაციის/რეადმისიის განხორციელებიდან 5 წელი არ გასულა;

გ) დაინტერესებული პირის წინააღმდეგ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, მათ შორის, თუ ეს პირი იძებნება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების ან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) მიერ, ამ გარემოების აღმოფხვრამდე.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2017 წლის 14 დეკემბრის კანონი №1725 – ვებგვერდი, 25.12.2017წ.
საქართველოს 2018 წლის 18 აპრილის კანონი №2149 – ვებგვერდი, 01.05.2018წ.

მუხლი 69. განცხადების განხილვის ვადა

1. პირის სახელის ან/და გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია ხორციელდება სათანადო განცხადების წარდგენიდან მე-60 კალენდარულ დღეს.

2. ამ თავით გათვალისწინებული საფუძვლით პირის სახელის ან/და გვარის შეცვლის/გვარის დადგენის/გვარის კანონიერად აღიარების მოთხოვნისას დაჩქარებული მომსახურების გაწევა დაუშვებელია.

საქართველოს 2018 წლის 18 აპრილის კანონი №2149 – ვებგვერდი, 01.05.2018წ.

თავი VIII. გარდაცვალების რეგისტრაცია

მუხლი 70. გარდაცვალების რეგისტრაციის პირობები

1. სავალდებულოა საქართველოს მოქალაქის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირის და საქართველოში გარდაცვლილი ნებისმიერი პირის გარდაცვალების რეგისტრაცია ამ კანონით დადგენილი წესით.

2. საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე, სხვა სახელმწიფოში გარდაცვლილი პირის გარდაცვალების რეგისტრაცია ხორციელდება მხოლოდ დაინტერესებული პირის სურვილის შემთხვევაში.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 71. განცხადება პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე

1. პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულება ეკისრებათ:

ა) სამედიცინო დაწესებულების, პათოლოგანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს – პირის გარდაცვალებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ პირი გარდაიცვალა აღნიშნულ დაწესებულებაში ან გარდაცვალების ფაქტი დაადგინა/დაადასტურა ამ დაწესებულებამ;

ბ) პირს, რომელიც უფლებამოსილია გასცეს გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა, მაგრამ არ იმყოფება შრომით ურთიერთობაში არც ერთ სამედიცინო დაწესებულებასთან, პათოლოგანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმახორციელებელ დაწესებულებასთან, – პირის გარდაცვალებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა გასცა ან გარდაცვალების ფაქტი დაადგინა აღნიშნულმა პირმა;

გ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილ პირს – პირის გარდაცვალების თაობაზე შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულ მოსამსახურესთან დაკავშირებით – პირის გარდაცვალების შესახებ შეტყობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

დ[1]) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს (შემდგომ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური) – სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულ მოსამსახურესთან დაკავშირებით – პირის გარდაცვალების შესახებ შეტყობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

ე) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს – საომარი მდგომარეობის დროს, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის, სხვა სახის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის დროს დაღუპულ მოსამსახურესთან დაკავშირებით – პირის გარდაცვალების თაობაზე შეტყობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;

ვ) მშობელს (მშვილებელს), მეუღლეს ან შვილს (ნაშვილებს), თუ მას შეუძლია ივარაუდოს, რომ ამ პუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის პირის გარდაცვალების ფაქტი უცნობია;

ზ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს – საბრძოლო მოქმედების ან სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპულ მოსამსახურესთან დაკავშირებით – პირის გარდაცვალების თაობაზე შეტყობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე განცხადებით შეიძლება მიმართოს ნებისმიერმა სრულწლოვანმა, ქმედუნარიანმა პირმა ან ადმინისტრაციულმა ორგანომ.

3. სხვა სახელმწიფოში გარდაცვლილი პირის გარდაცვალების რეგისტრაციისათვის საკონსულო დაწესებულებას შეიძლება მიმართოს აგრეთვე ადგილსამყოფელი სახელმწიფოს უფლებამოსილმა ორგანომ.

4. პირის გარდაცვალების რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის ვალდებულების მქონე პირთა მიერ წარსადგენი დოკუმენტები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3946 - ვებგვერდი, 15.07.2015წ.
საქართველოს 2016 წლის 27 მაისის კანონი №5101 - ვებგვერდი, 04.06.2016წ.
საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონი №1263 - ვებგვერდი, 29.07.2017წ.
საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონი №2617 – ვებგვერდი, 06.07.2018წ.
საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4093 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

მუხლი 72. გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტები

1. გარდაცვალების რეგისტრაციის მიზნებისათვის პირის გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

ა) გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა;

ბ) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება პირის გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილება პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;

დ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ოქმი პირის გარდაცვალების შესახებ;

ე) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს (შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური) გადაწყვეტილებით რეპრესირებული პირის გარდაცვალების შესახებ;

ვ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შეტყობინება სამშვიდობო ოპერაციაში, საომარ ან საბრძოლო მოქმედებაში ანდა სტიქიური უბედურების შედეგად მოსამსახურის დაღუპვის შესახებ;

ზ) სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ იმავე სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემული გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი.

2. სტიქიური უბედურების ან კატასტროფის შედეგად დაღუპული პირის გარდაცვალების რეგისტრაცია შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს საქართველოს იუსტიციის მინისტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

3. მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შესადგენი ოქმის რეკვიზიტები, მისი შედგენისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. პირის გარდაცვალების შესახებ ოქმი არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. თუ მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილ პირს არ აქვს საკმარისი და უტყუარი ინფორმაცია პირის გარდაცვალების ფაქტის შესახებ და შეუძლებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ფორმის ოქმის შედგენა, იგი ვალდებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს პირის გარდაცვალების ფაქტის თაობაზე ოქმის შედგენის გარეშე შეატყობინოს.

5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით გარდაცვალების რეგისტრაციის მიზნებისათვის შეიძლება განისაზღვროს პირის გარდაცვალების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტებიც.

საქართველოს 2013 წლის 6 სექტემბრის კანონი №1023 – ვებგვერდი, 23.09.2013წ.
საქართველოს 2015 წლის 8 ივლისის კანონი №3946 - ვებგვერდი, 15.07.2015წ.
საქართველოს 2016 წლის 27 მაისის კანონი №5101 - ვებგვერდი, 04.06.2016წ.
საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონი №1263 - ვებგვერდი, 29.07.2017წ.
საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონი №2617 – ვებგვერდი, 06.07.2018წ.
საქართველოს 2018 წლის 22 დეკემბრის კანონი №4093 – ვებგვერდი, 28.12.2018წ.

მუხლი 73. გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის წარდგენა

1. სამედიცინო დაწესებულების, პათოლოგანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, აგრეთვე პირი, რომელიც უფლებამოსილია გასცეს გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა, მაგრამ არ იმყოფება შრომით ურთიერთობაში არცერთ ზემოაღნიშნულ დაწესებულებასთან, ვალდებულია გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა სააგენტოს წარუდგინოს ელექტრონული ფორმით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით გათვალისწინებულ შემთხვევაში გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა შეიძლება წარდგენილ იქნეს მატერიალური ფორმით.

2. გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის რეკვიზიტები, მისი შედგენისა და გაგზავნის წესი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

3. სააგენტოსთვის გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის გამგზავნი დაწესებულება/პირი პასუხისმგებელია გაგზავნილი სამედიცინო ცნობის სისწორისა და სისრულისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისი სრულყოფილად შევსება შეუძლებელია სათანადო ინფორმაციის მოპოვების შეუძლებლობის გამო.

საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონი №3075 - ვებგვერდი, 11.07.2018წ.

მუხლი 74. უცნობი პირის გარდაცვალების რეგისტრაცია

თუ სამედიცინო დაწესებულება, პათოლოგანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმახორციელებელი დაწესებულება ან სხვა უფლებამოსილი ორგანო ვერ მოახდენს გარდაცვლილი პირის იდენტიფიცირებას, მისი გარდაცვალების რეგისტრაცია განხორციელდება, როგორც უცნობი პირის გარდაცვ ა ლ ების რეგისტრაცია.

მუხლი 75. სასამართლოს გადაწყვეტილება პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ

1. სასამართლო თავის გადაწყვეტილებას პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ მისი კანონიერ

ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

2. პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს მიერ წარდგენილი გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ახორციელებს გარდაცვალების რეგისტრაციას.

3. სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის გარდაცვალების რეგისტრაციისას მისი გარდაცვალების თარიღად ჩაითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე, თუ ამ გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია არ განახორციელოს გარდაცვალების რეგისტრაცია, თუ პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი გარდაცვლილად გამოცხადებული პირის პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სახელი, გვარი, დაბადების თარიღი ან ადგილი.

თავი IX. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა

მუხლი 76. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა

1. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის საფუძველია უფლებამოსილი პირის განცხადება და ამ კანონის 78-ე–80-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოების არსებობა.

2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია ამ კანონის 78-ე–მე-80 მუხლებით გათვალისწინებული გარემოების გამოვლენის შემთხვევაში სამოქალაქო აქტის ჩანაწერში საკუთარი ინიციატივით შეიტანოს შესაბამისი ცვლილება, შესწორება ან/და დამატება.

მუხლი 77. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის შესახებ განცხადების წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირები

1. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის შესახებ განცხადებით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლება აქვს პირს, რომლის მიმართაც შედგენილია შესაბამისი სამოქალაქო აქტის ჩანაწერი.

2. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის შესახებ განცხადების წარდგენის უფლება აგრეთვე აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის მშობელს/მშვილებელს – შვილის/ნაშვილების მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში საკუთარი მონაცემების ნაწილში.

3. 18 წლამდე არასრულწლოვნის მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მისი მშობლის, მშვილებლის, მეურვის ან მზრუნველის განცხადების საფუძველზე.

4. სასამართლოს გადაწყვეტილებით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია ამ პირის განცხადებით და მისი მზრუნველის თანხმობით.

5. გარდაცვლილი პირის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია ნებისმიერი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 78. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანა

სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:

ა) შვილად აყვანის რეგისტრაცია – თუ შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა შეიცვალოს ნაშვილების დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები;

ბ) მამობის დადგენის რეგისტრაცია;

გ) მშობლის ქორწინების რეგისტრაცია – ქორწინების რეგისტრაციისას მშობლის მიერ გვარის შეცვლის შემთხვევაში;

დ) მშობლის განქორწინების რეგისტრაცია – განქორწინების რეგისტრაციისას მშობლის მიერ გვარის შეცვლის შემთხვევაში;

ე) სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაცია;

ვ) გვარის დადგენა;

ვ[1]) გვარის კანონიერად აღიარება;

ზ) სქესის შეცვლა – თუ სქესის შეცვლასთან დაკავშირებით პირს სურს სახელის ან/და გვარის შეცვლა;

თ) სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის შესახებ;

ი) გარდაცვლილის პიროვნების დადგენა – თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ მისი გარდაცვალების რეგისტრაცია განახორციელა, როგორც უცნობი პირის გარდაცვალების რეგისტრაცია;

კ) პირის მოქალაქეობრივი სტატუსის შეცვლა – თუ პირს მიენიჭა ან შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა, ან

თუ პირმა დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ლ) უფლებამოსილი პირის მოთხოვნა დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დაბადების რეალური ადგილის მითითების შესახებ – თუ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დაბადების ადგილად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრულია დაბადების რეგისტრაციის ადგილი.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.
საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი №749 - ვებგვერდი, 24.05.2017წ.
საქართველოს 2018 წლის 27 ივნისის კანონი №2636 – ვებგვერდი, 06.07.2018წ.

მუხლი 79. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანა

სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორების შეტანის საფუძველია ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობა:

ა) სამოქალაქო აქტის ჩანაწერის რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომის აღმოჩენა;

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემის უზუსტობის დადგენის შესახებ;

გ) უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ.

მუხლი 80. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დამატების შეტანა

სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისას მონაცემების გამორჩენის ან არასრულად მითითების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს დამატება ამ აქტის ჩანაწერში.

მუხლი 81. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის თაობაზე განცხადების განხილვა

სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანის თაობაზე განცხადების განხილვა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ უნდა დაასრულოს განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა, ხოლო ცვლილების, შესწორების ან/და დამატების საკუთარი ინიციატივით შეტანის შემთხვევაში – ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 1 თვის ვადაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 82. სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო არ ახორციელებს ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანას სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში.

თავი X. სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია

მუხლი 83. სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია

1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო სამოქალაქო აქტის ხელახალ რეგისტრაციას ახორციელებს, თუ:

ა) სამოქალაქო აქტის ჩანაწერი დაკარგულია ან განადგურებულია და არსებობს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ;

ბ) საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირის მიმართ სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტი, რომლის რეგისტრაცია საქართველოში არ განხორციელებულა.

2. სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული დაბადების და მამობის დადგენის სამოქალაქო აქტების ხელახალი რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე საქართველოს მოქალაქის არასრულწლოვანი შვილის მიმართ.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 84. სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე

1. სამოქალაქო აქტის ჩანაწერის (დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების გარდა) დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია ხორციელდება შესაბამისი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. დაბადების ან გარდაცვალების ხელახალი რეგისტრაცია ხორციელდება დაბადების ან გარდაცვალების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება არ შეიცავს შესაბამისი სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისათვის აუცილებელ მონაცემებს, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია არ განახორციელოს სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია.

4. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია არ განახორციელოს სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია, თუ:

ა) მამობის დადგენის რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი:

ა.ა) ბავშვისა და მამის პირადი ნომრები (ასეთების არსებობის შემთხვევაში);

ა.ბ) მამის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;

ა.გ) ბავშვის სახელი, გვარი (მამობის დადგენის რეგისტრაციამდე და მამობის დადგენის რეგისტრაციის შემდეგ) და დაბადების თარიღი;

ა.დ) მამობის დადგენის რეგისტრაციის თარიღი;

ბ) შვილად აყვანის რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი:

ბ.ა) მშვილებლისა და ნაშვილების პირადი ნომრები (ასეთების არსებობის შემთხვევაში);

ბ.ბ) მშვილებლის სახელი, გვარი და დაბადების თარიღი;

ბ.გ) ნაშვილების სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი (შვილად აყვანამდე და შვილად აყვანის შემდეგ);

ბ.დ) ნაშვილების მშობლები (შვილად აყვანამდე და შვილად აყვანის შემდეგ);

ბ.ე) შვილად აყვანის რეგისტრაციის თარიღი;

გ) ქორწინების ან განქორწინების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი მეუღლის (მეუღლეთა):

გ.ა) პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ.ბ) სახელი ან/და გვარი (ქორწინებამდე (განქორწინებამდე) და ქორწინების (განქორწინების) შემდეგ);

გ.გ) დაბადების თარიღი;

გ.დ) ქორწინების (განქორწინების) რეგისტრაციის თარიღი;

დ) სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი პირის:

დ.ა) პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ.ბ) სახელი ან/და გვარი – სახელის ან/და გვარის შეცვლამდე და შეცვლის შემდეგ;

დ.გ) დაბადების თარიღი;

დ.დ) სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის თარიღი;

დ.ე) სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ორგანოს დასახელება.

მუხლი 85. სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია

1. საქართველოს მოქალაქის ან საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირის მიმართ სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია შეიძლება განხორციელდეს იმ პირის მოთხოვნით, რომლის მიმართაც ეს აქტი რეგისტრირებულია სხვა სახელმწიფოში, ხოლო თუ აღნიშნული პირი გარდაცვლილია – ნებისმიერი პირის მოთხოვნით.

2. სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია ხორციელდება სამოქალაქო აქტის ჩანაწერის დამოწმებული ასლის, ამ ჩანაწერიდან ამონაწერის ან სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობის საფუძველზე.

3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შეიძლება განისაზღვროს სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაციის დამატებითი საფუძვლები.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

თავი XI. სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობა

მუხლი 86. სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის უფლებამოსილების მქონე ორგანო

1. სამოქალაქო აქტის ჩანაწერს (დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების გარდა) ბათილად ცნობს სასამართლო.

2. დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერები შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 87. დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ბათილად ცნობა

1. დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერებს ბათილად ცნობს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ის ორგანო, რომელმაც განახორციელა შესაბამისი სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია.

2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო სამოქალაქო აქტის ჩანაწერს ბათილად ცნობს დაინტერესებული პირის განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით.

3. თუ აღარ არსებობს ორგანო, რომელმაც განახორციელა სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია, სამოქალაქო

აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის საკითხს წყვეტს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ის ორგანო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც განხორციელდა სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია.

4. თუ აღარ არსებობს ორგანო, რომელმაც განახორციელა სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია და ამ ორგანოს სამოქმედო ტერიტორია არ შედის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის არც ერთი სხვა ორგანოს სამოქმედო ტერიტორიაში, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის საკითხს წყვეტს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ნებისმიერი ორგანო.

მუხლი 88. სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის განსაკუთრებული პირობები

1. ერთი და იმავე პირის მიმართ დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების მრავალჯერადი რეგისტრაციის გამო, მათ შორის, ამ კანონის ამოქმედებამდე დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების აღდგენის შედეგად, შესაბამისი სამოქალაქო აქტის რამდენიმე ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია სამოქალაქო აქტის ერთ-ერთი ჩანაწერი ბათილად ცნოს დაინტერესებული პირის განცხადებით ან საკუთარი ინიციატივით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის საფუძველი არის სასამართლოს გადაწყვეტილება, ამ საფუძვლით რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობა დასაშვებია მხოლოდ დაინტერესებული პირის თანხმობით.

3. დაინტერესებული პირის თანხმობის არარსებობისას სასამართლოს გადაწყვეტილებისა და სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნით სააგენტო მიმართავს სასამართლოს.

4. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე რეგისტრირებული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის შემთხვევაში დაუშვებელია სამოქალაქო აქტის ხელახალი რეგისტრაცია სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 89. სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ განცხადების წარდგენისა და განხილვის წესი

1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობის შესახებ განცხადებას განიხილავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესით.

2. თუ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად აუცილებელია მხარეთა ახსნა-განმარტების მიღება, მოწმის ან ექსპერტის დაკითხვა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია გამართოს ზეპირი მოსმენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 108-ე–112-ე მუხლებით დადგენილი წესით, ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

3. თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შედგება მხოლოდ ერთი თანამშრომლისაგან, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ზეპირი მოსმენის გამართვისას სხდომის მდივნის უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს სხდომის თავმჯდომარემ.

4. სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილად ცნობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში მტკიცებულებების მოპოვებისას და მათი გამოკვლევისას გამოიყენება ამ კანონის 92-ე მუხლით დადგენილი წესები.

თავი XII. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ზოგიერთი ფაქტის დადგენა

მუხლი 90. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ დასადგენი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები

1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ამ თავით განსაზღვრული წესით ადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე შემდეგ ფაქტებს:

ა) პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების ფაქტს;

ბ) პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში გარდაცვალების ფაქტს;

გ) პირის დაბადების რეგისტრაციის ფაქტს;

დ) პირის გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტს.

2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი.

3. საზღვარგარეთ მომხდარ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ადგენს მხოლოდ საქართველოს მოქალაქის, მისი არასრულწლოვანი შვილის, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირისა და საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირის მიმართ.

4. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები საქართველოში მცხოვრები იმ პირის მიმართ, რომლის მოქალაქეობრივი სტატუსი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების განხილვის მომენტისთვის გაურკვეველია, თუმცა არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ პირს შეიძლება დაუდგინდეს საქართველოს მოქალაქეობა.

5. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება ან დაკარგული საბუთის აღდგენა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არათანაბარზომიერ ხარჯებსა და ძალისხმევასთან.

საქართველოს 2012 წლის 25 მაისის კანონი №6301 – ვებგვერდი, 12.06.2012წ.

მუხლი 91. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების წარდგენის უფლებამოსილების მქონე პირები

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მუხლი 92. მტკიცებულებები იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებულ წარმოებაში

1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას, გარდა წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებებისა, ასევე გამოიყენოს და დაეყრდნოს მხარეთა ახსნა-განმარტებებს, მოწმეთა ჩვენებებს და სხვა მტკიცებულებებს.

2. თუ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას მტკიცებულებების მოპოვების, გამოკვლევისა და შეფასების მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე კარის დებულებები, გარდა იმავე კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, 103-ე მუხლისა, 104-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, 106-ე მუხლისა, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, 110-ე მუხლისა, 116-ე მუხლის მე-2 ნაწილისა, 118-ე, 119-ე, 126-ე და 131-ე–133-ე მუხლებისა, 134-ე მუხლის მე-2 და 2^1 ნაწილებისა, 136-ე მუხლისა, 145-ე მუხლის პირველი ნაწილისა, 146-ე და 155-ე–157-ე მუხლებისა და 169-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებისა.

3. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებს იყენებს ამ კანონითა და სააგენტოს საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მუხლი 93. პასუხისმგებლობა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შეცდომაში შეყვანისთვის

1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის ცრუ ახსნა-განმარტების ან ცრუ ჩვენების მიცემისთვის ან მისი შეცდომაში შეყვანისთვის პასუხისმგებლობა დაეკისრება, შესაბამისად, ახსნა-განმარტების ან ჩვენების მიმცემ დაინტერესებულ მხარეს, ექსპერტს ან/და მოწმეს.

2. მოწმედ მოწვეული პირი ვალდებულია მისცეს ჩვენება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 94. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადების განხილვის წესი

1. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია გამართოს ზეპირი მოსმენა, რომელზედაც მოწვეული უნდა იქნენ განმცხადებელი, სხვა დაინტერესებული პირები და მოწმეები. განმცხადებელს, დაინტერესებულ პირებსა და მოწმეებს ზეპირი მოსმენის შესახებ უნდა ეცნობოთ მის გამართვამდე 5 კალენდარული დღით ადრე მაინც და მოწვეული უნდა იქნენ მასში მონაწილეობის მისაღებად.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI და VIII თავებით დადგენილი წესები, ამ კანონის დებულებების გათვალისწინებით.

3. თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო შედგება მხოლოდ ერთი თანამშრომლისაგან, ამ თავით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ზეპირი მოსმენის გამართვისას სხდომის მდივნის უფლებამოსილება შეიძლება განახორციელოს სხდომის თავმჯდომარემ.

4. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის ან დადგენაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს შესაბამისი განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 1 თვისა. თუ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დასადგენად აუცილებელია ამ კანონით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება ვადის გაგრძელების შესახებ.

5. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

მუხლი 95. გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ

1. გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ, გარდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტებისა, ასევე უნდა შეიცავდეს შესაბამისი სამოქალაქო აქტის ჩანაწერის შესადგენად აუცილებელ ინფორმაციას.

2. პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების, ასევე დაბადების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია საკმარისი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში დაადგინოს მშობლების მონაცემები, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს შორის არის დავა მშობლების ვინაობასთან დაკავშირებით.

3. სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისათვის აუცილებელი მონაცემის დადგენის შეუძლებლობა არ შეიძლება გახდეს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენაზე უარის თქმის უპირობო საფუძველი. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ სამოქალაქო აქტის რეგისტრაციისათვის საჭირო ცალკეული მონაცემის გარეშე, თუ მისი დადგენა შეუძლებელია საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო ან სხვა მიზეზით.

4. პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო დაბადების თვისა და რიცხვის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული მონაცემები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

5. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა დაუშვებელია, თუ:

ა) პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ვერ დგინდება პირის სახელი, გვარი ან დაბადების თარიღი (წელი);

ბ) პირის დაბადების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ვერ დგინდება პირის დაბადების რეგისტრაციის სავარაუდო თარიღი, მარეგისტრირებელი ორგანო ან ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მონაცემი;

გ) პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ვერ დგინდება პირის სახელი, გვარი, დაბადების ან გარდაცვალების თარიღი;

დ) პირის გარდაცვალების რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ვერ დგინდება პირის გარდაცვალების რეგისტრაციის სავარაუდო თარიღი, მარეგისტრირებელი ორგანო ან ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი მონაცემი.

6. თუ გარდაცვლილი პირის მიმართ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას მისი გვარის განსაზღვრა შეუძლებელია იმ მიზეზით, რომ ვერ ხერხდება ამ პირის მშობლების გვარების დადგენა, ამასთანავე, მასზე არ გაცემულა არანაირი ოფიციალური დოკუმენტები გვარის მითითებით, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის ამ პირის გვარის მითითების გარეშე დადგენის შესახებ.

7. თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო არასაკმარისად ან არასარწმუნოდ მიიჩნევს მოწმეთა ჩვენებებს და სხვა წარმოდგენილ მტკიცებულებებს, იგი უფლებამოსილია უარი თქვას იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენაზე.

მუხლი 96. ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა

1. თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მიზნით და შემდგომ გამოვლინდა, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება ან დაკარგული საბუთის აღდგენა შესაძლებელია, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებას წყვეტს ნებისმიერ სტადიაზე, რის შესახებაც გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

2. თუ განმცხადებელს აღარ აქვს ინტერესი დასადგენი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის მიმართ, ის უფლებამოსილია ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მიმართოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს და მოითხოვოს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

3. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია უარი განაცხადოს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტაზე, თუ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა არის საჯარო ინტერესი ან/და მნიშვნელოვანია სამოქალაქო აქტების მონაცემთა ბაზის სრულყოფისთვის.

მუხლი 97. სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე

ამ თავით გათვალისწინებული იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

თავი XIII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 98. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედებამდე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ორივე ეგზემპლარი თანაბარი

იურიდიული ძალის მქონეა. სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ორ ეგზემპლარს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში ერთ-ერთი ეგზემპლარის მონაცემებისთვის უპირატესი ძალის მინიჭების საკითხს წყვეტს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ნამდვილად მიჩნევის შეუძლებლობის შემთხვევაში უფლებამოსილი ორგანო დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, კანონით დადგენილი წესით ადგენს სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს.

3. სამოქალაქო აქტების მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცულ, ამ კანონის ამოქმედებამდე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ასლს აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც აღნიშნული ჩანაწერის დედანს.

4. თუ ამ კანონის ამოქმედებამდე პირი ქორწინების შეწყვეტის გარეშე ხელმეორედ დაქორწინდა, მაშინ წინა ქორწინებაში მყოფ მეუღლეთა ერთობლივი მოთხოვნით მათი ქორწინება შეწყვეტილად ჩაითვლება მომდევნო ქორწინების რეგისტრაციის დღიდან.

5. 2006 წლის 30 იანვრამდე რეგისტრირებული ქორწინების სამოქალაქო აქტის ჩანაწერი, რომელიც არ შეიცავს მოწმეთა ხელმოწერას, ჩაითვლება ნამდვილად, თუ მასში შეტანილი არ არის არასწორი მონაცემები ან/და დარღვეული არ არის ქორწინების რეგისტრაციის სხვა წესი.

6. 2009 წლის 1 სექტემბრამდე შედგენილი სამოქალაქო აქტის ჩანაწერი, რომელიც არ არის დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით ან/და შესაბამისი ბეჭდით, ჩაითვლება ნამდვილად, თუ მასში შეტანილი არ არის არასწორი მონაცემები ან/და დარღვეული არ არის სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის სხვა წესები. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება სამოქალაქო აქტის იმ ჩანაწერზე, რომლის მონაცემებით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საფუძველზე რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტის ახალი ჩანაწერი.

6^1. 2014 წლის 1 ივნისამდე განხორციელებული სახელის შეცვლა არ ზღუდავს ამ კანონის 64-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით პირის სახელის შეცვლის უფლებას.

6^2. დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის სახელის შეცვლას ან შესწორებას, რომელიც დადასტურებული არ არის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით ან/და შესაბამისი ბეჭდით, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო კანონიერად აღიარებს, თუ დაბადების სამოქალაქო აქტი 2008 წლამდეა რეგისტრირებული და პირი ფლობს დაბადების მოწმობას ან/და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქის პასპორტს, შეცვლილი ან შესწორებული მონაცემით (სახელის ცვლილების კანონიერად აღიარება).

6^3. ამ კანონის 67^1 მუხლითა და 68-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვები არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა მოთხოვნა განპირობებულია სამოქალაქო აქტების ჩანაწერებსა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში არსებული შეუსაბამობის აღმოფხვრის საჭიროებით და პირს სურს იმ მონაცემების მიღება, რომლებიც მის სახელზე ბოლოს გაცემულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებშია მითითებული.

7. თუ დაბადების ან გარდაცვალების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული არ არის რეგისტრაციის თარიღი და სხვა გზით მისი დადგენა შეუძლებელია, რეგისტრაციის თარიღად მიიჩნევა, შესაბამისად, ბავშვის დაბადების ან პირის გარდაცვალების თარიღი. ეს წესი ვრცელდება ამ კანონის ამოქმედებამდე შედგენილ დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერებზე.

8. 2012 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრონ სააგენტოს მიერ საკონსულო თანამდებობის პირისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების წესი და დელეგირების ფარგლები.

9. 2012 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა და საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრონ ბავშვის დაბადებისა და პირის გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობების რეკვიზიტები, მათი შედგენისა და გაგზავნის წესები.

10. 2012 წლის 1 თებერვლამდე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების გამოცემა.

საქართველოს 2014 წლის 29 მაისის კანონი №2482 - ვებგვერდი, 29.05.2014წ.
საქართველოს 2016 წლის 15 აპრილის კანონი №4966 - ვებგვერდი, 26.04.2016წ.
საქართველოს 2018 წლის 18 აპრილის კანონი №2149 – ვებგვერდი, 01.05.2018წ.

მუხლი 98^1. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირებთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულირება გარდამავალ პერიოდში

1. ქორწინება არ დაიშვება იმ პირებს შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი, სანამ მისი ინდივიდუალური შეფასება არ მოხდება.

2. თუ დაბადების რეგისტრაციის მომენტისთვის დედა არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და მისი ინდივიდუალური შეფასება არ მომხდარა, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დედის შესახებ მონაცემები მიეთითება დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ხოლო მამის შესახებ მონაცემები – მამის განცხადების საფუძველზე.

3. მამობის დადგენის რეგისტრაციის თაობაზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსთვის მიმართვის უფლება, ამ კანონის 32-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პირების გარდა, აქვს ბავშვის მამას, თუ ბავშვი არასრულწლოვანია, ხოლო დედა არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ

ცნობილი პირი და მისი ინდივიდუალური შეფასება არ მომხდარა.

4. თუ სრულწლოვანი არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და მისი ინდივიდუალური შეფასება არ მომხდარა, მის მიმართ მამობის დადგენის რეგისტრაცია, აგრეთვე მისი გვარის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

5. თუ ბავშვის მამა არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და მისი ინდივიდუალური შეფასება არ მომხდარა, მამობის დადგენის რეგისტრაცია დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

6. იმ მეუღლესთან, რომელიც არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და რომლის ინდივიდუალური შეფასებაც არ მომხდარა, განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება, თუ მეუღლეებს შორის არ არსებობს დავა მათი საერთო თანასაკუთრების გაყოფასთან, შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებასთან ან საერთო ბავშვებთან დაკავშირებით.

7. იმ მეუღლესთან, რომელიც არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და რომლის ინდივიდუალური შეფასებაც არ მომხდარა, განქორწინების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძვლების არარსებობის შესამოწმებლად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ქმედუუნარო მეუღლის მეურვეს ატყობინებს განქორწინების შესახებ განცხადების წარდგენის თაობაზე და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას წერილობითი პასუხის წარსადგენად.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პასუხის წარდგენის ვადა არ უნდა აღემატებოდეს შეტყობინების გაგზავნის დღიდან 1 თვეს, თუ 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი მეუღლის მეურვე საქართველოში იმყოფება. 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი მეუღლის მეურვის სხვა სახელმწიფოში ყოფნის შემთხვევაში აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს შეტყობინების გაგზავნის დღიდან 6 თვეს.

9. თუ იმ მეუღლის, რომელიც არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და რომლის ინდივიდუალური შეფასებაც არ მომხდარა, მეურვე მეუღლეებს შორის ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დავის არარსებობის შესახებ განაცხადებს ან განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენს წერილობით პასუხს, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო განახორციელებს განქორწინების რეგისტრაციას.

10. იმ მეუღლესთან, რომელიც არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და რომლის ინდივიდუალური შეფასებაც არ მომხდარა, განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული პასუხის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო პასუხის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში – ამ ვადის გასვლიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

11. იმ სრულწლოვნის მიმართ, რომელიც არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და რომლის ინდივიდუალური შეფასებაც არ მომხდარა, რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მისი მეურვის განცხადების საფუძველზე.

12. იმ სრულწლოვნის, რომელიც არის 2015 წლის 1 აპრილამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირი და რომლის ინდივიდუალური შეფასებაც არ მომხდარა, სახელის ან/და გვარის შეცვლა დასაშვებია მისი მეურვის მოთხოვნით.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3347 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

მუხლი 98[2]. (ძალადაკარგულია)

საქართველოს 2015 წლის 16 დეკემბრის კანონი №4650 - ვებგვერდი, 28.12.2015წ.

მუხლი 99. დასკვნითი დებულებანი

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს 1998 წლის 15 ოქტომბრის კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3, 1998 წელი, მუხ. 30).

2. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი – 97-ე მუხლებისა, 98-ე მუხლის პირველი – მე-7 პუნქტებისა და 99-ე მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ კანონის პირველი – 97-ე მუხლები, 98-ე მუხლის პირველი – მე-7 პუნქტები და 99-ე მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2012 წლის 1 თებერვლიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,
2011 წლის 20 დეკემბერი.
№5562-რს